

## სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „განათლების ადმინისტრირება“ მიღების წესი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „განათლების ადმინისტრირება“ მისაღები გამოცდა სპეციალობაში (გასაუბრება) ტარდება (ZOOM-ის ფორმატში). მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა. დადებით შეფასებად ჩაითვლება 51 ქულიანი ბარიერის გადალახვა.

### გასაუბრება მოიცავს შემდეგი სახის დავალებებს:

- მოტივაციური გასაუბრება/ინტერვიუ (არჩეულ სპეციალობასთან/საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით) – 30 ქულა;
- სკოლამდელი/ზოგადი/პროფესიული/უმადლესი განათლების საფეხურის დახასიათება - პრობლემებისა და პერსპექტივების ანალიზი - 30 ქულა;
- პედაგოგიური სიტუაციის/შემთხვევის ანალიზი - 30 ქულა;
- ღია კითხვები - სულ 10 ქულა (5 კითხვა, თითოეული შეფასდება 2 ქულით).

### შეფასების კრიტერიუმები:

#### მოტივაციური გასაუბრების/ინტერვიუს შეფასების კრიტერიუმები:

- აპლიკანტი ავლენს ინტერესს არჩეული პროფესიისადმი, გაცნობიერებული აქვს, თუ რატომ სურს ამ პროფესიის დაუფლება, როგორ და რაში გამოიყენებს არა მარტო პროფესიას, არამედ მასთან დაკავშირებულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს; ჩამოყალიბებული აქვს კონკრეტული მოლოდინი პროფესიის მიმართ და მკაფიოდ აქვს გაცნობიერებული საკუთარი ადგილი და როლი პროფესიაში - **10 ქულა;**
- აპლიკანტის პასუხები მეტყველებს მის გააზრებულ არჩევანზე, მას გაცნობიერებული აქვს პროფესიის ძირითადი ღირებულება/დანაშნულება, აცნობიერებს საკუთარ წვლილს პროფესიის განვითარებაში - **10 ქულა;**
- აპლიკანტის ღირებულებები და თვისებები პროფესიასთან თავსებადია, ინტერვიუს განმავლობაში აპლიკანტი ავლენს კარგ საკომუნიკაციო უნარებს; მისი საუბრის მანერა არის მკაფიო და დამაჯერებელი; საუბრობს გასაგებად და ამომწურავად აყალიბებს თავის სათქმელს; გასაუბრების დროს არის ლოგიკური, თანმიმდევრული და კონტექსტს მორგებული - **10 ქულა.**

#### თეორიული საკითხის (საფეხურის დახასიათების) შეფასების კრიტერიუმები:

- საკითხის ზოგადი ცოდნა, ორიგინალური ხედვა და თანმიმდევრული მსჯელობა - 10 ქულა;
- ლოგიკური დასკვნების გამოტანა - 5 ქულა;
- საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირებული და ფაქტობრივი გამყარება – 5 ქულა;
- შინაარსის კორექტულობა - 5 ქულა;
- გადმოცემის უნარი, ლექსიკური მარაგი - 5 ქულა.

პედაგოგიური სიტუაციის/შემთხვევის ანალიზის შეფასების კრიტერიუმები:

- პრობლემის დანახვა და გამოვლენილი პრობლემის ანალიზი -10 ქულა;
- პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური ვარიანტ(ებ)ის შერჩევა და არგუმენტირებული დასაბუთება - 10 ქულა;
- თანმიმდევრული და ლოგიკური მსჯელობა - 10 ქულა.

ღია კითხვის შეფასების კრიტერიუმები:

- პასუხი გაცემულია სწორად და ამომწურავად - 2 ქულა
- პასუხი არასწორია ან საერთოდ არ არის გაცემული - 0 ქულა

საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართება 10 სექტემბერს 18:00 სთ-ზე (დისტანციურად)

შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად გთხოვთ გამოიყენოთ შემდეგი ბმული  
<https://us02web.zoom.us/j/8706518151>

**ლიტერატურა:**

1. საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, 2016 წელი;
2. საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, 2005 წ.
3. საქართველოს კანონი „უმადლესი განათლების შესახებ“, 2004 წ;
4. საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, 2007 წ.

წარმატებებს გისურვებთ!